პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 181 (19328) ◆ ოთხშაბათი, 7 აგვისტო, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ს. ხახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲠᲐᲖᲛᲘ

მშობლიური ინსტიტუტის მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ახალ შენობას თავისი ხელით აშენებენ სტუდენტური „ირ-88“ სამშენებლო რაზმის მებრძოლები. რაზმში (ხელმძღვანელი — ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე გულერმო სანაკოევი, კომისარი — გელა ხაბელაშვილი) ცხრა გოგონა და ოცდაცამეტი ჭაბუკია. ისინი შეიდგენენ კალატოზებს, მებეტონეებს, მემონტაჟეებს, მი-

სურათებზე: სტუდენტური სამშენებლო რაზმი „ირ-88“.

სამშენებლო რაზმის მოწინავე მებრძოლი ეთნა ბაკაია.

ლ. გუსოვის ფოტო (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

СССР

СТРАНЫ СОВЕТОВ

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, ОБЪЕДИНЯЙТЕСЬ!

СССР

XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ

ᲓᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

საქართველოს სსრ იდეოლოგიური აქტივის კრების მონაწილეებს, რესპუბლიკის კომუნისტებს, მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას

ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲒᲝ კომუნისტებო, მუშებო, კოლმეურნეებო, მეცნიერებო და ხელოვანებო, ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწენო, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებო, საბჭოთა საქართველოს სამინისტროების, უწყებების, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და სამართალდაცვითი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლებისა და წაზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებო! თქვენ მოგმართავენ მონაწილენი რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის IV კრებისა, რომელმაც განიხილა კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის, სოციალისტური ცხოვრების წესისა და კომუნისტური მორალის ნორმების და პრინციპების საყოველთაო დამკვიდრებისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების აქტუალური ამოცანები.

სკკპ XXVII ყრილობის წინ პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენი საზოგადოების წინაშე დააყენეს თვისებრივად ახალი სტრატეგიული მიზნები — დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, დისციპლინის, ორგანიზებულობისა და წესრიგის საყოველთაო განმტკიცების საფუძველზე.

დღეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ავამოქმედოთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაჩქარებული დანერგვის მთელი რესურსები. ერთი ასეთი მთავარი რეზერვთაგანია ის, რომ გავაჯანსაღოთ ადამიანის ფაქტორი — უზარმაზარეულეყოთ ყოველი საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი, მაღალშეგნებული დამოკიდებულება შრომისადმი, ჩვენი საზოგადოების მატერიალური, სოციალური, სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და პრინციპებისადმი.

ეს საყოველთაო-სახალხო ამოცანაა, და მას უნდა ყუჯადეს ყოველი ჩვენგანი, სახალხო-სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე, ულალითოდ ყველა სამმართველო და საშემსრულებლო რგოლში, მეცნიერებისა და ტექნიკის, მხატვრული შემოქმედების, სოციალური ინფორმაციის სფეროებში, სასწავლო-შემეცნებითს პროცესში, საკადრო პოლიტიკაში, აღმზრდელობითს მუშაობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ერთი სიტყვით, დღეს არ არის ძალებისა და ცოდნის გამოყენების ისეთი წერტილი, სადაც საბჭოთა ადამიანების ინტელექტუალურ-ზნეობრივი პოტენციალი, პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა ჯეროვნად გაფენილან ან ხდებიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის დონისა და ტემპზე.

ცნობილია, რომ ყოველივე ახალი, პროგრესული ჩვენს ცხოვრებაში მკვეთრად შეურიგებელი ბრძოლით ყოველივე ყველგანსულსაგან, რაც ბერკოლებს საზოგადოების წინსვლა-განვითარებას. ამიტომ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ობანი იყო და არის ბრძოლა სოციალიზმის ბუნებისათვის ისეთი უცხო ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკურ პრაქტიკაში, საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ფსიქოლოგიაში შემორჩენილი კერძომესაკუთრული გამოვლინებანი. ეს სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი წინამძღვარია.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მოკალაპოტრივი მომთხოვნელობა ის ფაქტორებია, რომლებიც ანტისოციალისტურ პოზიციის ყოველ გამოვლინებას აშკარავებენ. რაც უფრო ჯანსაღია საზოგადოებრივი კლიმატი, მით უფრო მოუღებელია ყოველგვარი გადახრა სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებისაგან, მით უფრო აშკარაა პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი ზიანი, რომლებიც ამ გადახრებს მოსდევს.

კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გამოვლინებათა წინააღმდეგ „ბრძოლა — ეს არის, ჯერ ერთი, პოლიტიკური ბრძოლა. კერძომესაკუთრულ მისწრაფებებს, მოიხვეჭელობას ატანილი პიროვნება ჩვენს საზოგადოებაში გვევლინება სხვისი შრომის მიმთვისებელად. ბურჟუაზიული ანტისოციალისტური ქცევის მორალისა და ნორმების მაგალითად და, ამრიგად, წარმოადგენს იმპერიალიზმის იდეოლოგთა იარაღს სოციალისტური ცხოვრების წესის წინააღმდეგ ბრძოლაში; მეორე, ეს არის ეკონომიკური ბრძოლა, რადგან კერძომესაკუთრულ მისწრაფებათა მატარებელნი, რომლებიც უკანონოდ ითვისებენ ჩვენი საზოგადოების მიერ შექმნილ მატერიალურ დოვლათს, „მით არღვევენ მის პრინციპებს განაწილებითის ურთიერთობაში და მათგან უმთავრესს — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“, რაც „უარყოფითის გავლენას ახდენს ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის, სამეურნეო მექანიზმისა და მართვის გაუმჯობესების ტემპზე, საბჭოთა ადამიანებისათვის შრომითი აქტიურობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ჩანერგვაზე, შრომისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავებაზე; მესამე, ეს არის იდეურ-თეორიული, მსოფლმხედველური და ზნეობრივი ბრძოლა, ვინაიდან უმუალოდ უკავშირდება ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულებისა და მისი სიცოცხლის საზრისის საკითხებს, ზნეობრივად სრულყოფილი, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლა.

ᲛᲔᲝᲗᲔ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐᲡ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲐᲡ

ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ

უპატაკიძენ საპფობლოს

მეგობრულმეიები:

გეგმა შესრულდა

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ შეასრულეს ამრეშუმის პარკის დამზადების გეგმა საქართველოს მეამრეშუმეებმა. გეგმით გათვალისწინებული 18 ათასი ცენტნერის ნაცვლად გადასამუშავებლად ჩაბარებულია 18.048 ცენტნერი ნედლეული.

კარგად იმუშავეს აფხაზეთის, ლაგოდეხის, თელავის, ახმეტის, სიღნაღის, მახარაძის, გუდაუთის, ცხინვალის, ხობის, წულუკიძის, ვანის, ცაგერის, თერჯოლის, აბაშის, წალენჯიხის, მაიაკოვსკის, საჩხერის, ჩოხატაურის, ორჯონიკიძის და მთელი რიგი სხვა რაიონების, აგრეთვე ქალაქ ტყიბულის ზონის მშრომელებმა.

ამრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

„ᲗᲮᲘᲚᲘᲡᲒᲔᲠᲜᲐᲒᲘᲠᲘᲡᲐᲛᲨᲔᲜᲘ“:

ᲧᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ

ᲓᲘᲓᲘ შრომითი გამარჯვება მოიპოვა თბილისის ლენინის ორდენოსანი გვირაბმშენებლობის სამმართველო — „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივმა. ახორციელებს რა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადწყვეტილებებს, მან სამშობლოს უპატაკა, რომ ვადამდე შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო საგეგმო დავალება.

ხუთწლედის მანძილზე აშენდა და „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით საექსპლოატაციოდ გადაეცა 39 ობიექტი, გეგმით გათვალისწინებული 29 ობიექტის ნაცვლად. მათ შორის არის რიგითის 1750 გრძივი მეტრი ავტოსაგზაო გვირაბი, საავტომობილო გზის უბანი თუშეთის აუთვისებელი სამოვრებისაკენ, 50 ათასი კუბური მეტრი ბეტონისა და 20 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციების სამძალითი რკინაბეტონის კონსტრუქციათა ქარხანა, ქალაქ თბილისის რესპუბლიკის მთავარი მოედანი, ბევრი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი.

სამმართველოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის და ახალი ვალდებულებები იკისრეს.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲑᲘ

ᲬᲚᲔᲡ ახალციხელი მეცხოველეები უკეთესი შრომითი მაჩვენებლების მოსაპოვებლად იბრძვიან. მომხმარებელთა ბაზლეირებთან, პირუტყვის გეგმაზომიერი გამოზამთრებით, მტაცეცა საკვები ბაზის შექმნით, მაღალნაყოფიერი და ორგანიზებული შრომით ფერმებში პირუტყვის პროდუქტიულობამ საგრძნობლად იმატა. შედეგი კი ის არის, რომ რაიონმა ვადაზე ორი კვირით ადრე 104,7 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსთვის რძის მიყიდვის 1985 წლის შვიდი თვის დაგალება. ამასთან წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 255 ტონით მეტი რძე მიეყიდა სახელმწიფოს. კვერცხის მიყიდვის გეგმა 111.8 პროცენტით შესრულდა; შესრულდა აგრეთვე ხორცის და მატლის დამზადების გეგმები.

Ი. ᲧᲘᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ახალციხის რაიონული გაზეთის თანამშრომელი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ეს ნომერი უკვე დასაბეჭდად იყო გამზადებული, სასახლურული ცნობა რომ მოვიღეთ: აჭარის სოფლის მეურნეობის მრომელებმა შრომით გამარჯვების მიღწევის სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ ვადამდე და ვადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 826.006 ტონა ჩაის ფოთოლი ხუთწლიანი დავალებით გათვალისწინებული 825.790 ტონის ნაცვლად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

საინჟინრო სამსახური სოფლად: დიდმნიშვნელოვანი ეტაპის ზღურბლზე

ᲑᲝᲚᲝ წლებში რესპუბლიკის სოფელში საინჟინრო სამსახურმა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია შრომის ენერგოტევადობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის ზრდაში. მაგალითად, ტრაქტორთა პარკი 1,5-ჯერ გაიზარდა, ენერგოტევადობა — 20 პროცენტით, ტრაქტორის მწარმოებლობა — 18 პროცენტით, სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა — 25 პროცენტით.

ამასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა სიღნაღის რაიონის მაგალითით სოფლის მეურნეობის საინჟინრო სამსახურების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა საკითხი, აღნიშნა, რომ სოფლტექნიკისა და მეურნეობების საინჟინრო სამსახურების განვითარებისა და ტექნიკით მათი აღჭურვის ტემპის შეუწონასწორებელმა მიმართულებებმა დისპროპორციათა შექმნა მანქანების პარკსა და მისი ნორმალური ექსპლოატაციის შესაძლებლობას შორის. საკმარისად არ ეითარდებოდა სარემონტო-საწარმოო ბაზა ორგოროკ სიმძლავრის, ისე ტექნიკური აღჭურვის დონის მიხედვით, მას შეეძლო რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა პარკის მხოლოდ 60 პროცენტი. არასასიკეთო მდგომარეობა შეიქმნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საინჟინრო სამსახურებში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებისა და სახსოფლტექნიკის ინტეგრაციამ დადებითი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის აგრარული სექტორის მართვაზე და უზრუნველყო სოფლის მეურნეობის საინჟინრო უზრუნველყოფაში ნაკლოვანებათა გამოვლენა და თანდათან ლმოფხვრა. უწყებრივი ბარიერების დაძლევამ ხელშემწყობი პირობები შეუქმნა წარმოების ღრმა სპეციალიზაციის, საქონრო დონეზე ტექნიკური სუფლებისა და შრომითი რესურსების კონცენტრაციის განხორციელებას, პროდუქციის მიღების საბოლოო შედეგებით სოფლის მეურნეობის საწარმოო და მომსახურე დარგის ყველა მუშაკის ერთნაირი დაინტერესების პირობებში შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების შეუფერხებელ დანერგვას. ამავე დროს მოწესრიგდა ტექნიკის კადატალური რემონტის დაგეგმვა, რამაც სარემონტო სამუშაოების მოცულობა 1984 წელს 51 პროცენტიდან 68 პროცენტამდე გაზარდა. ავტოტრანსპორტის გამმატიკებამ და სპეციალიზაციამ უზრუნველყო ავტოპარკის მზადყოფნის გადიდება 1981 წლის 81 პროცენტიდან 1984 წლის 84 პროცენტამდე და წამგებიანობის ლიკვიდაცია. ფონდების, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური საშუალებების ცენტრალიზაციამ გაზარდა ოპერატიულობა ტექნიკური რესურსებით, კომბინირებული საკვებითა და მინერალური სასუქებით მეურნეობათა მომარაგებაში.

ამასთან ტექნიკის რაოდენობასა და მისი შეკეთებისა და მომსახურების შესაძლებლობებს შორის, დაშვებული მნიშვნელოვანი სხვაობა, აგრეთვე სარემონტო-საექსპლოატაციო ბაზის განვითარების ღონისძიებათა რეალიზაციის ნელი ტემპი ჯერჯერობით არ იძლევა საშუალებას ვიგრძნოთ ძვრები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონის ამაღლებასა და სასინჟინრო უზრუნველყოფაში. განსაკუთრებით ჩამორჩება ტექნიკური ბაზის განვითარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებშიც თავმოყრილია რესპუბლიკის მთელი მანქანა-ტრაქტორთა პარკის 95 პროცენტზე მეტი. შექმნილი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე საშუალად წელიწადში ამ საპროგებისათვის იხარჯებოდა მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა საერთო ოდენობის სულ ბეგრი ერთი პროცენტი, მაშინ, როცა ფაქტობრივი მოთხოვნილება 15-20-ჯერ აღემატება ამ დონეს.

ჯერჯერობით სუსტად წყდება მექანიზატორთა და მელიორატორთა კადრების დამკვიდრების საკითხები. მეთერთმეტე ხუთწლიის მანძილზე სოფლის მეურნეობაში დარჩა მომზადებულ მექანიზატორთა და მელიორატორთა მხოლოდ ნახევარი.

მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების მცირე ეფექტიანობა განაპირობებს იმას, რომ ყოველწლიურად იფშება გარანტირებული მოსავლის მოყვანის დავალებათა შესრულება.

ინტეგრაციის შემდგომ განვლილი ეტაპი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია თავიდან ბოლომდე სასინჟინრო სამსახურების მართვის საკითხთა ოპტიმალურ გადაწყვეტას და მისი ეფექტიანობა ძხოლოდ მაშინ გამოვლინდება, როცა უშუალოდ მეურნეობებში შექმნილ სამსახურებს და უზრუნველყოფენ სასინჟინრო სამსახურის მართვის სტრუქტურის შესაბამისობას რაიონისა და რესპუბლიკის ფონზე.

სოფლის მეურნეობის საინჟინრო უზრუნველყოფის დაბალი დონე აშკარად ჩანს სიღნაღის რაიონის მაგალითით, რომელიც საბაზო რაიონია სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და მელიორაციის ახალი სქემებისა და რეკომენდაციების „ასრბადაპრაა და დაინერგვის საქმეში. ამ რაიონში ტიპობრივი სარემონტო სახელოსნოებით უზრუნველყოფა 18 პროცენტს არ აღემატება, ფარფლებითა და გარაჟებით — 35, ხოლო ტიპობრივი ნავთობმზეურნეობებით —

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲒᲒ.)

ᲡᲐᲥᲐᲕᲔᲑᲘ-85:

ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲘᲗᲛᲔᲜᲘᲡ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ რაიონში საკვებმოპოვება, როგორც დამოუკიდებელი დარგი, ჯერ კიდევ ჩამორჩება სოფლის მეურნეობის სხვა დარგების დონეს, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს.

ერთგვარი პოზიტიური ძვრები საკვების დამზადებაში ორიოდე წელია დაიწყო. შარშან თავად ხაშურელები დაეხმარნენ სხვებს — რაიონში გეგმის გადამეტებით დამზადდა თივა და ნამჯა, პირუტყვს სამყოფად ჰქონდა შედარებით იაფი სილოსი, სეზაკი, საკვები ძირხვენები, რამაც ფერმის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხელსაყრელი პირობები შექმნა.

ძვრები არის და იმედიანიც, და იქნებ სწორედ ამტომაც საკვებწარმოებაში, პოზიტიური პროცესების ფონზე, რელიეფურად ისახება ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ხაკვებმომპოვებლებს მეტი წარმატებების მიღწევაში.

დავიწყოთ იმით, რომ მწვანე საკვები მასის დამზადების გეგმები ხაშურში წლების მანძილზე არ სრულდება. საკვები კულტურები ზოგ საზოგადოებრივ მეურნეობაში აგროვადების დარღვევით ითესება, თანაც წლითიწლითი მეცრე მოსავალს იღებენ. ყველაფერი ეს კი ძმიმე ტვირთად აწევება საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკას, გასაკუთრებით პირუტყვის გამოზამთრების პერიოდში.

უნდა ვუსაყვედურო საკვების დამზადების ხელმძღვანელობის რაიონულ შტაბს და აგროსამრეწველო გაერთიანებას იმის გამო, რომ მათ დღემდე ვერ მიაღწიეს საქონრო გარდაქმნებს საკვები კულტურების რაციონალური განლაგების, მელიორირებული მიწების, ორგანული და მინერალური სასუქების ეფექტიანი გამოყენების საქმეში. ამას გვაძლევენებს საკვებმომპოვებელთა საქმიანობა, სადაც ბევრი საგულისხმო ნაკლია.

სრულებითაც არ სჯერდებათ ძალებს მაქსიმალური დაბაბვა სატიკის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ა. დვალიშვილი), რადგან ამ ისედაც „უხვად“ ამზადებენ საკვებს... ქალაღზე. ზემდგომ ინსტანციებში გასაგზავნ დოკუმენტებში ნაჩვენები იყო 61 ტონა დამზადებული თივა. ფაქტობრივად კი 38 ტონა აღმოჩნდა.

სატიკელებს არც სურამელები ჩამორჩნენ. ამ კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — გ. ხაჩიძე) 1 ივლისის მდგომარეობით 23 ტონა თივა იყო დამზადებული, სპეციალური დოკუმენტებში კი 45 ტონა თივა „დაბრეულად“. მეტიც, მწვანე მასას, რომელსაც პირუტყვს აძლევენ, დაბარული სილოსად ჩამოწერენ ხოლმე. ივლისში ამ ხერხით 25 ტონა სილოსია „ჩადებული“.

ოროოდე სიტყვა საერთოდ საკვების ხარისხზე: ბორჯომის ვეტლაბორატორიის ანალიზებს თუ ვენდობით, ხაშურის რაიონში მაღალხარისხოვანი და უკეთიანი საკვები მზადდება. სამწუხაროდ, ხშირად ეს ასე არ არის. ძნელია ხარისხიანი საკვები მოიკითხო იქ, სადაც ხშირად ირღვევა მისი დამზადების ტექნოლოგიური პროცესები.

ბორჯომის ვეტლაბორატორიის დასკვნა ოსიაურის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ა. ნოზაძე) მაღალხარისხოვანი სენაჟის დამზადების თაობაზე, მეტი რომ არა ვთქვათ, სინამდვილე არ შეესაბამება, რადგან აქ დამზადებული სასენაჟე მასა კორტინინს შემცველობით და ტენიანობით საკვების ხარისხის მეორე კლასს განეკუთვნება. იმვითარი როდინ, როცა ანალიზების პასუხი ვეტლაბორატორიიდან დიდი დაგვიანებით მოდის.

ხომ არ დადგა დრო, რომ ვიზრუნოთ ხაშურის საერთო ვეტლაბორატორიის შექმნაზე, მით უმეტეს, რომ რაიონში უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ერთერთ ძლავრ სასოფლო-სამეურნეო რეგიონად გადაიქცა.

საკვების დამზადება გადამწყვეტ ფაზაში შეეცდა. რაიონში გადაჯაბრებით შესრულდა სენაჟის ჩადების დაკალებები. საკვებმომპოვებლები ეპირებიან დაამზადონ საგეგმოზე 200-250 ტონით მეტი თივა, დამზადდები 500 ზეგეგმით სილოსმონაკი, სხვა სახის საკვები. წლეულს გარაჟდობენ ერთ სულ პირუტყვზე საშუალოდ 19,8 ცენტნერი საკვები ერთეულის დამზადებას, რაც საგეგმოზე 2,8 ცენტნერით მეტია.

ახლა, როცა მასობრივად დაიწყო ნამჯის დამზადება, ეგრეთწოდებულმა გაუთვალისწინებელმა სიძნელეებმა ინინა თავი. საქმე ის გახლავთ, რომ „საქსოფლმაშაგების“ რესპუბლიკური გაერთიანების კასპის სარეალიზაციო ბაზიდან მოწოდებული დასაწნები კანაფი იმდენად მდარე ხარისხისაა, რომ ხშირად წყდება და დამატებით თაკლატეს უჩენს საკვებმომპოვებელს, ნამჯას მეცხოველეთა ფერმებთან დაუწნეხეს ეზიდებიან. ეს კი საკვების ზედმეტ დანაკარგებს იწვევს, იზრდება ცენტნერი საკვების თვითღირებულება და ა. შ.

ეს და ზემოთ აღნიშნული სხვა ნაკლოვანებები, მათ წარმიშობიზეზებთან ერთად საქმიანად და ოპერატიულად უნდა გაანალიზონ და საჭირო დასკვნებიც გამოიტანონ ადგილობრივმა პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲒᲒ.)

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ

ᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „კომუნისტის“ რედაქციაში უწყვეტ ნაკადად მოდის ამრეშეელთა წერილები. გვწერენ მუშაკები და მეტალურგები, მანქანამის მომშავებლები და ფეიქრები, ქიმიკოსები და მანქანათმშენებლები, რკინიგზის, საზღვარ და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკები, ისინი იტყობინებიან, რომ შეასრულეს მიმდინარე წლის პირადი დავალებები და გადაწყვეტეს უმატონ შრომითს ტემპს. მრავალი მათგანი კისრულობს მომავალი წლის მირველი კვარტალის, ნახევარი წლისა და წლიური დავალებებიც კი სკკპ XXVII ყრილობის, ან საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ.

ᲠᲔᲚᲘᲐᲜᲘᲜᲘᲡ ქვანახშირის მრეწველობის ფილიალის-ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მეხუთე სიეესპეციალი უნნის ალოქტევმა, რომელსაც გამოცდილი სამთო-ტექნიკოსი ბ. ჩაფიძე ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა მიმდინარე წლის გეგმა 7 ნოემბრისათვის, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედის პირველი კვარტალის დავალება სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს.

ᲓᲐᲕᲘᲗ რა საყრილობო შრომითს ეახტეზე, საქართველოს საზღვაო სახაოსნოს ბათუმის ხალთა მეგობრობის ორდენოსანი ნავსადგურის ფლაკერ-მექანიზატორებმა ჯერ კიდევ ივნისის დამდეგს შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა. დოკერებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და დაასკვნეს, რომ იმ დღისათვის, როცა სკკპ XXVII ყრილობა მუშაობას შეუდგება, გეგმის გადამეტებით გადაამშავებელი ენერგიათ მიღონი ტონა ტვირთი. ამ პროგნოზზე დაყრდნობით გაადგინეს დოკერებმა თავიანთი ახალი სოციალისტური ვალდებულება.

ᲐᲡᲝᲛᲘᲗ მოწინავე ადამიანი შრომობს ბინაოსის კამეონ-მაუდის კომბინატში. მათ შორის ერთ-ერთი სუეკეთესოა მრთველი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი რ. ჯაჯანიძე. ქალაქში ეზიდა ზეგზე ნორმით გათვალისწინებულზე ოცი თითისტრით მეტს ემსახურება და სწორედ ამან განაპირობა მისი დიდი წარმატება. რუსუდანმა შეასრულა პირადი მეთრომეტე ხუთწლედი და ახალი ვალდებულება იკისრა: გადაწყვეტა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შეუბამის დაწყების დღეს სამშობლოს მომავალი წლის გეგმის შესრულება უპატაკოს. დროის ასეთ შემჭიდროებას ახალგაზრდა მრთველი ოსტატობის მუდმივი დახვეწვით აღწევს. ქსელის გაწყვეტილი ძაფის გადასაბმელად იგი ხუთ წამს, ხოლო მისაესელი ძაფის გაწყვეტისას — სამ წამს ხარჯავს. რაც შეეხება მზა პროდუქციის არომვეას, ამ პროცესს მრთველი ნავარაუდევზე ორჯერ ნაკლებ დროს ანდომებს. ასე მარცვალ-მარცვალ „აგროვებს“ რუსუდანი იმ წამებს, წუთებს, დღეებსა და თვეებს, რომლებსაც მისთვის შრომითი დიდება მოაქვთ.

ᲨᲝᲚᲝᲜᲘ მსუბუქი ავტომობილების საწარმო გაერთიანების მსგავსად ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმაც დაიწყეს მეორეხარისხე ხუთწლედის საკონტროლო ციფრების გახლეცვა, თავიანთი შესაძლებლობების შესწავლა და ბმის საფუძველზე კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

ᲛᲮᲘᲚᲝᲚᲘ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზით აპირებს მის წინაშე დასახული რიგი ამოცანის გადაწყვეტას—წარმოების მოცულობის სოლიდური ზრდას „საქსამოიქიმრეწვის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. სამოოელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი 31 აგვისტოსათვის — სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავისათვის შეასრულონ მიმდინარე ხუთწლედის დავალება და წარმოების ზრდის ხარჯზე მიაღწიონ ძირითადად წარმატებას. მიუხედავად დადებული გეგმებისა, მომავალი წლის ორი თვის დავალებას აქ სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულებენ და ამას კვლავ და კვლავ შრომის ნაყოფიერების ზრდით მიაღწევენ. ამ მაჩვენებლის შემდგომ, მეუნლები გადიდებისათვის კი ივლისან ინ გზით, რომელშაც ეარგა ხანი საქვეყნო აღიარება მოუტანა სამოოელებს, — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზით, „საქსამოიქიმრეწვის“ კოლექტივის გადაწყვეტილება კიდევ უფრო განამტკიცოს კაკბირი ქვეყნის იმ 30 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს კოლექტივებთან, რომლებთან შემოქმედებით თანამეგობრობითაც მრავალი ტექნიკური ნასიათის სიახლე დაინერგა.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ სამრეწველო საწარმოებში გრძელდება მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების საკონტროლო ციფრების განხილვა და რეზერვების ძიება ახალი სოციალისტური ვალდებულებების მისაღებად. ისინი ხელმძღვანელობენ იმით, რომ ვალდებულებათა ნაკისრი წარმოების ეფექტიანობის გადიდების საფუძველი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება იქნება.

(„კომუნისტის“ კორ.)

„ᲛᲘᲡᲚᲔᲚ ᲡᲝᲛᲝᲕᲘ“: ᲒᲔᲛᲒᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲖᲐ, ᲗᲔᲛᲠᲘᲗ — ᲡᲘᲡᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ᲘᲜᲜᲣᲚᲛᲐᲠᲘᲚᲘ „ვლადივოსტოკი“, 6 აგვისტ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტში

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციაში ჯალაკ პირველი არსებულ სარიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა განიხილა იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი, რომლებიც დაუშვეს სკკპ პირმის სამალაქო კომიტეტმა და საქალაქო აღმასკომმა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესრულების ორგანიზაციაში.

ამ დიდმნიშვნელოვან მეშობას, რომელიც ჯეროვნად არ იგებგმოდა და კოორდინირდებოდა, არ მიენიშა მსაობრიი და შემტეგი ხასიათი. არ გაკეტორებულა სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში არსებული ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების მუშობა.

ბევრ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელს, პროფკავშირების, კომკავშირის და ინფორმაციის საშუალებების მუშაკებს არ აუღიათ ხელი გულარხეინობისა და ლიბერალიზმის დაწოწყობილებაზე ლოთობის ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული ფაქტების შეფასებაში. მთელ რიგ შრომითს კოლექტივებში დაბალ დონეზე წარმოებს ანტიალკოჰოლური პროპაგანდა. მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის არ გაუცვნიათ პარტიისა და მთავრობის მიერ მოღებულ გადაწყვეტილებათა შინაარსი.

ნელა გარდაქმნიან თავიანთ საქმიანობას სამართალდაცვითი ორგანოები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი არ იღებენ დამრღვევთა მიმართ ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ლოთობასთან ბრძოლის კანონმდებლობით. შესუსტდა ნებაყოფლობით სახალხო რაზმების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საყრდენი პუნქტების მუშაობა.

საქალაქო აღმასკომმა (ამხ. ე. ი. ჩერკაშინი) უგულებელყო რაიონული ორგანიზაციებისა და ცალკეული შრომითი კოლექტივების. დასაბუთებული წინადადნები იმის შესახებ, რომ შეეცვალებინა ის სავაჭრო წერტილის რიცხვი, სადაც ნებადართულია სპირტიანი სასმელების გაყიდვა. პერმის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ა. პეტროვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების სა წინააღმდეგოდ, თავისი განკარგულებით ნებადართულად გამოაცხადა ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობა ბევრი საწარმოს მახლობლად, ცალკეულ კულტურის სასახლეებში, თეატრებში, კინოთეატრებში, რკინიგზისა და სამდინარო ვაგზლებში, აეროპორტებში. იყო ფაქტები, როდესაც ღვინო-არაყს თვითნებურად ყიდდნენ ვაჭრობის მუშაკები, მაგრამ ამგვარი მოვლენები არ აღუკვეთავთ.

პარტიული კონტროლის კომიტეტის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ სკკპ პერმის საოლქო კომიტეტსა და პერმის საქალაქო კომიტეტს დროზე არ გიუჩაღებიათ ორგანიზატორული და სამობრივ-პოლიტიკური მუშაობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დასაძლევად, ჯეროვანი კონტროლი არ დაუწესებიათ დასახული ღონისძიებათა შესრულებისადმი, არ მიუციათ პარტიული შეფასება ცალკეულ მუშათა არასწორი მოქმედებისადმი.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციაში გამოჩენილთა უპასუხისმგებლობისათვის სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა საყვედური გამოუცხადა პერმის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს, სკკპ წევრს ამხ. ვ. ა. პეტროვს. ასეთივე სასჯელი დაედო პერმის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს, სკკპ წევრს ამხ. ვ. ი. ჩერკაშინს; ამ საკითხზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, პარტიის პერმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. ა. ლუზინოლოგო

უცხოეთი

ფაქტები მოვლენები

6 აგვისტო ● საკდესი იუწყება

ᲒᲐᲜᲘᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲡᲙᲪᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲘ ტექნიკისა და ავტომატიზებული სისტემების შექმნის, წარმოების განვითარებისა და ეფექტიანი გამოყენების ორი ათას წლამდე პერიოდის საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამა ახალ მნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს სახალხო განათლების მუშაკებსაც. ისინი ხომ ზრდიან ისეთ ახალგაზრდებს, ვინც უნდა წინ წასწიოს მეცნიერება, იაროს წარმოების ინტენსიფიკაციის გზით. და არა მარტო XXI საუკუნეში, როცა ახლანდელი პიონელები სრულწლოვანი გახდებიან და შრომითი სიმწიფის ხანა დაუდგებათ. უკვე იმით, ვინც ახლა ამთავრებს სკოლას, მოუწევს მუშაობა ახალი თაობების ტექნიკით, რომელიც მრავალჯერ გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენება თვისებრივად ცვლის ჩვენს შესაძლებლობებს საქმიანობის ყველა დარგში, მათ შორის კადრების განათლებისა და მომზადების სისტემაში.

იმის შესახებ, თუ როგორ წყდება კომპიუტერული წიგნიერების პრობლემა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სკოლაში, საქართველოს ეროვნული ეკონომიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის ი. გოლდმანის სახელობის საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ო. ქინძლაძესა და საქართველოს სსრ ეროვნულ-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის ლ. ბოგვავას.

Ო. ᲥᲘᲜᲫᲚᲐᲫᲔ:

ᲡᲙᲪᲐ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ იგი მოიცავს ეკონომიკური, ორგანიზაციული, სოციალური, კულტურისა და განათლების განვითარების ბევრ მიმდინარე და პერსპექტიულ პრობლემას.

რა ასპექტით უნდა გადაიჭრას ისინი სკოლაში?

სკოლის რეფორმა მიზნად ისახავს ახალგაზრდობა აღმზრდოს წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური საფუძვლების ცოდნით. ამ მოთხოვნათა შესაბამისად დიდ მნიშვნელობას იძენს მიკროელექტრონტექნიკა, გამოთვლითი ტექნიკა და ხელსაწყოთმშენებლობა, ინფორმატიკის მთელი ინდუსტრია. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული არა მარტო ტექნიკის გამოშვების ზრდაზე, არამედ მის უნარიან გამოყენებაზეც.

სამი წლის წინათ ექსპერიმენტის წესით თბილისის ორ სკოლაში შემოვიღეთ გამოთვლითი ტექნიკისა და პროგრამირების საფუძვლების კურსი. ახლა საუწყებო დაქვეთდებრების 20 გამოთვლითმა ცენტრმა ხელი მოჰკიდა საქართველოს დედაქალაქის ოცდაფთი ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის ათასზე მეტი მოსწავლის სწავლებას.

ახალ სასწავლო წელს ასეთი ცენტრების რიცხვი ორმოცდაათამდე გაიზრდება, სადაც ისწავლის სამი ათასი მოსწავლე, მათ შორის სოფლის ახალგაზრდობა. ეს გზა საშუალებას მისცემს სკოლებს დამატებითი ხარჯების გაუწევლად შეიტანონ თავიანთი წელილი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში.

მომდინარე წლის კურსდამთავრებულთა ჯგუფმა, რომელიც სამი წლის მანძილზე უფფლებოდა გამოთვლითს ცენტრებში პროგრამისტ-ლაბორანტის პროფესიასა, ჩაბარა საკვალიფიკაციო გამოცდები და მიიღო შესაბამისი მოწმობა.

მომავალი სასწავლო წელს დამატებულ ასეთ კურსდამთავრებულთა რიცხვი გაციელებით უფრო გაიზრდება. ამის შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება კვალიფიკაციური ახალგაზრდა სპეციალისტებით, რომლებიც დაუფლებულნი იქნებიან გამოთვლით ტექნიკას.

როგორც ცნობილია, ახალი სასწავლო წლიდან ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლა შემოღებული იქნება ყველა სკოლაში. მოსამზადებელი სამუშაო განხორციელდა. შერჩეულია მასწავლებელთა კადრები, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი მომზადება. მათთვის, აგრეთვე მოსწავლეებისათვის საქართველოს ტელევიზიის პროგრამაში შეტანილია თემატური გადაცემები. ვაპირებთ სპეციალურ ავტობუსში მოვაწყოთ მოძრაი დისპლეის კლასი ოცი მოსწავლისათვის. იქმნება ექსპერიმენტული სახელმძღვანელო „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“ ქართული სკოლების მეცხრე კლასებისათვის. საავტორო კოლეგატიკის შემადგენლობაში შევიდნენ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის წამყვანი სპეციალისტები. სახელმძღვანელო გამოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. ფრანგიშვილის redaქციით.

იმედი გვაქვს, რომ სკოლებს საბაზო გამოთვლითი ცენტრები დაუწმარებიან დიდი და მცირე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით აღჭურვილი გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების შექმნაში.

Ს. ᲠᲘᲒᲕᲐᲕᲐ:

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ პროცესში მიკროპროცესორული ტექნიკის დანერგვა პროფტექნიკური განათლების სისტემაში ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლეების მიერ პროგრამირებისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების მასობრივი გაცნობა, მართვის ავტომატიზებული სისტემისა და ავტომატიზებული შესწავლის სისტემების შექმნა, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისა და რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხების მომსახურებისათვის სპეციალისტების მომზადება.

კომპიუტერული ცოდნის თეორიული საფუძველი მოსწავლეებისათვის „გახდება ახალი კურსი „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“. ამ საკმეში ჩვენ დაგვეხმარება რესპუბლიკის პროფტექნიკურ სასწავლებებში პროგრამირებისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლის კურსის ორი წლის სწავლების გამოცდილება.

ახალი კურსის წარმატებული დანერგვის მიზნით მოეწყო მასწავლებელთა სტაბილური სპეციალიზაციური მომზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. უნივერსიტეტში შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელოს ორი ვარიანტი ქართულ ენაზე და დასაპროგრამებელი მიკროკალკულატორის გამოყენების მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელო.

ახალ სასწავლო წელს თოთხმეტ პროფტექნიკურ სასწავლებელში გიიხსნება გამოთვლითი ტექნიკის სასწავლებელ-ლაბორატორიები კაბინეტები მიკრო და მინი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ბაზაზე. ყველა სასწავლებელში შეიქმნა კაბინეტები, რომლებშიც შეისწავლიან „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის“ საფუძვლების კურსის უმაღლესი ვარიანტები, და - შემდგომში მათ გარდაქმნიან კომპიუტერულ ტექნიკის კაბინეტებად.

დაგეგმილია საქართველოს პროფტექნიკასწავლებლებში შეიქმნას 130 დისპეიის კლასი. მომავალი ხუთწლეულის განმავლობაში ყველა პროფტექნიკურ სასწავლებელს ექნება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები, პერსონალური კომპიუტერები.

მომავალი მუშების კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფას ხელს უწყობს კლასგარეშე მუშაობის სხვადასხვა ფორმა: ოლიმპიადები ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიასა და სხვა სფეროში მიკროკალკულატორების გამოყენებით, სასწავლო-საწარმოო პროცესსა და პროგრამირებული მართვის ავტომატიზაციის სექციის შექმნა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ფარგლებში, ექსკურსიები რესპუბლიკის გამოთვლითს ცენტრებში და ა. შ.

მუშაობა, რომელსაც პროფესიულ-ტექნიკური განათლების ხელმწიფო კომიტეტი ეწევა საყოველთაო კომპიუტერული წიგნიერების მიღწევისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირს ემყარება. აკადემიის მეცნიერები და სპეციალისტები, უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები პრაქტიკულ დახმარებას გვიწევენ ლექციების, სუბრების, შეხვედრების მოწყობაში, ხელმძღვანელობენ კომპიუტერულ კლუბებსა და წრეებს, ემბრძოლ სამსწავლებლო მუშაობაში, მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედებისადმი მეცნიერულ ხელმძღვანელობაში. მათი დახმარებით ვაპირებთ დავამუშაოთ სპეციალური დისციპლინებისა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გამოყენებითი პროგრამების პაკეტები, რათა რესპუბლიკის სასწავლებლებში შეგქმნათ სწავლების ავტომატიზებული სისტემები.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲣᲑᲐᲜᲘᲐ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲣᲗᲘ

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔᲚᲘ ტრესტის მმართველის სოსლან გერგაულის სამუშაო დღე დილით ადრე, მეექვსე საშუალო სკოლის მშენებლობიდან იწყება. ასე იყო იმ დღესაც.

— როგორ არის საქმე, ბიჭებო, რა გვაფერხებს? — მისალმების შემდეგ ჩვეულებრივ იკითხა მმართველმა.

— დღეს პარაპეტის დაწყობას ვამთავრებთ. მობირკეთების სამუშაოზე 22 კაცია დასაქმებული, მაგრამ მთელი დატვირთვით ვერ იმუშავებენ — მოზაიკის ფილები არ გვყოფნის, — მოახსენა უბნის უფროსმა გაბრიელ ლეკიაშვილმა.

— ათ მლესავს კიდევ შეგაშველებთ სხვა ობიექტებიდან, საუკეთესო სპეციალისტები არიან, არ მოაკლინოთ, — ამბობს მმართველი.

— ალებასტრი არ გვეყოფა. გადასახურ ფილებს როდის მოიტანენ? — კითხულობს მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ვეტერ შეკარდენიძე. მერე ჩვენ შემოგგჩივის, — ჩვენი რკინაბეტონის ქარხანა გაფფერხებს.

— მართალი ხარ, ვეტერ, დაგვიანდა ფილების დამზადება, მაგრამ გინა სიზარმაკის გამო... ქარხანა მცირე მწარმოებლობისაა, — გვიხსნის ტრესტის მმართველი. — შენებლობის სამინისტროს გამსჯელებასთან დაკავშირებით თათქმის ორჯერ გიზარდა ჩვენი საზრუნავიც. მოძველებული საწარმო ვეღარ გვაკმაყოფილებს. ამას ისიც დაერთოო, რომ ვიბრაციული მაგიდა მწყობრიდან გამოვიდა. სასწრაფოდ შევაკეთეთ. ახლა არ ცვლად მუშაობენ ბიჭები, რომ სკოლის შენებლობა არ შეფერხდეს. ერთ კვირაში ფილები მზად იქნება.

გაბალისდნენ ამის გამგონე მშენებლები ონისე რაზმაძე, თეიმურაზ ხერიავი, ურუზმაგ ბოლათავი, ვლადიმერ ვალეევი. მცირეოდენი შესვენების შემდეგ საქმეს შეუდგნენ. ზოგმა პარაპეტის დაწყობა გააგრძელა, ზოგმა — მოზაიკური ფილებისა, ზოგმაც ბეტონის ხსნარი შეამზადა.

— ერთი მანქანა სასწრაფოდ ცემენტისათვის წავიდეს, ერთიც — მოზაიკური ფილების მოსაზიდად, მძიმეშენრნანი სახიდრიანი მანქანები კი რკინაბეტონის ფილების შემოსაზიდად!— განკარგულებას იძლევა მმართველი. მის თვალს მცირედიც შეუმჩნეველი არ რჩება. მოსვენება დაკარგული აქვს — უთუოდ უნდა შესრულდეს სპპატიო ამოცანა: პირველი სექტემბრის ზარამდე გამზადდეს ოთხსართულიანი შენობა, სასკოლო რეფორმის შესატყვისი ყველა ატრიბუტით — კაბინეტ-ლაბორატორიებით, საკქტო და სპორტული დარბაზებით, სასადილოთი, საშხაპეთი...

გასაკეთებელი ჯერაც საკმაოა. კედლები შესალესია, იატაკი — დასაგები, დერეფნები — მოსაპირკეთებელი...

— როგორ ფიქრობთ, ამდენ რამეს მოასწრებთ ზარის დარეკვამდე?

— შევრცხვებით, რომ ვერ მოვასწრეთო! — გვიპასუხებს მმართველი.

— ოღონდ საშენი მასალები არ მოგვაკლდეს, და ჩვენს ბიჭებს არაფერი გაუქირდებათ,— იმედიანად ამბობს სამეშოთა მშრომელი ს. თედეევი.

— რა მასალები გჭირდებათ? — უპირველესად — გადასახური ხის მასალა, — გვეუბნება ინჟინერ ალ. ბოლოთაშვილი. ტრესტის ხის საკეთებათა დამამზადებელი საამქრო კარ-ფანჯრების შეკეთებას ზოზინთ ასრულებს. სასწრაფოდ გვჭირდება სხვადასხვა ზომის რკინაბეტონის გადასახური ფილები, კიბის საფეხურები, 600 კვადრატულ მეტრზე დასაგები მოზაიკური ფილები.

ტრესტის მმართველი იმედიანად არის — ყველაფერზე ვიზრუნეთ და ყველაფერი რიგზე იქნებაო. გამოცდილი ხელმძღვანელის სიტყვა სარწმუნოა. დაჭკვიანული შრომის მაგალითი ამ ხალხს არაერთხელ უჩვენებია, სიტყვა საქმედ უქცევიათ. მხოლოდ ხის მასალა და პარკეტი აფიქრებთ. ამ საკითხის დროულ მოგვარებაში მათ საქართველოს სსრ შენებლობის სამინისტროს დახმარება დასჭირდებათ.

ჯერ კიდევ 100 ათას მანეთზე მეტი ასათვისებელია. დარჩენილი დრო, ყოველი წუთი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ შენებლებმა, დაჭკვეთებმა და ქვემოიჯარე ორგანიზაციებმა. პირველ სექტემბერს ცხინვალის № 6 საშუალო სკოლაში ზარი უნდა აწკრიალდეს.

Გ. ᲗᲝᲥᲔᲓᲖᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲯ. ᲙᲝᲠ.

ᲣᲑᲐᲜᲓᲐ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲰᲝᲢᲨᲘ ᲓᲒᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. უგანდაში, სადაც 27 იულის სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მდგომარეობა თანდათან კალაპოტში დგება. როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, სამხედრო საბჭომ გამოაცხადა, რომ მუშაობა განახლა ენტებეს საერთაშორისო აეროპორტმა. გაიხსნა ქვეყნის სახმელეთო საზღვრები.

რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პოლ მუუანგა განგარეულს კონსულტაციებს ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან ფართო წარმომადგენლობითს საფუძველზე გარდამავალი მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ. იგი უხელმძღვანელებს ქვეყანას პარლამენტის არჩევნებამდე, რომელიც წლის მანძილზე უნდა მოეწყოს. გარდამავალი მთავრობის ჩამოყალიბების საკითხთა სპეციალური კომისია დემოკრატიული პარტიის ვიცე-პრეზიდენტის ენერიუ ადიმოლას მეთაურობით განხილავს სხვადასხვა პარტიის წინადადებებს ახალი კაბინეტის შემადგენლობაზე კანდიდატურების შესახებ.

კამპალის რადიოთი გამოსულსას სახელმწიფოს მეთაურმა, გენერალმა ტატო ოკელომ გაფრთხილა უგანდის პრესა, რომ ნუ აპყვება და ნუ გაავრცელებს ყოველგვარ ჭორებსა და ხმებს მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით. „ასეთი მონაჩმახი, — განაცხადა მან, — ენებს, სამხედრო სამეფოს ძალისხმევას, რომლის მიზანია დამყარდეს მშვიდობა და შეწყდეს სისხლისღვრა უგანდაში. ამ მონაჩმახს მტრულ აუტად მივიჩნევთ“.

კამპალის რადიომ გამოაცხადა, რომ უცხოელ დიპლომატთა ჯგუფთან შეხვედრისას პრემიერ-მინისტრმა ჰ. მუუანგამ თქვა, რომ შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც განიხილავს დამხობილი რეჟიმის დროს დაპატიმრებული ათასობით პოლიტიკური ტესტაღის განთავისუფლების საკმეებს.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲙᲐᲑᲣᲚᲘ. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით მთელი რიგი წარმატებული ოპერაციები მოაწყვეს ბანდიტების წინააღმდეგ ლაზნის, ქაბულის, ჰერათის, ურუზგანის და თახარის პროვინციებში. განადგურებულია უამრავი დუშმანი. ხელთ იგდეს დასაღური წარმოების ბევრი მსუბუქი და მძიმე შეიარაღება, აგრეთვე ძირგამთხრელი ლიტერატურა და დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, დასავლეთის სპეციმსახურების ცენტრებთან ბანდიტების კავშირს.

ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲰᲘᲠᲝᲨᲘᲛᲐ. აქ მომდინარე ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ორგანიზაციების იაპონიის საბჭოს ეროვნულ ყრილობაზე წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ს. ს. გორბაჩოვის პასუხი საბჭოთა მიმართვაზე. ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ასობით დელეგატი მჭუხარე ტაშით შეხვდა საბჭოთა ხელმძღვანელის წერილს.

ჰიროშიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შედეგად დაზარალებული 370 ათასი კაცის სახელით, განაცხადა საბჭოს თანათავმჯდომარემ ს. იტომ, მინდა საბჭოთა ხელმძღვანელობას მოვახსენო საბჭოთა ხელმძღვანელობას მშვიდობის განმტკიცების საქმის თერმობირთვული ომის თავიდან აცილების მტკიცე ერთგულებისათვის.

ჩვენ, ჰიროსიმელებს, დედა-მიწის ზურგზე, ყველაზე კარგად გვესმის, რა შეიძლება მოჰყვეს ბირთვულ კატასტროფას. სწორედ ამიტომ არის, რომ ესოდენ დიდი მოწონებით შევხვდით საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების ფართო კომპლექსს. საბჭოთა კავშირმა ვალდებულება იკისრა, არ გამოიყენოს პირველმა ბირთვული იარაღი. 6 აგვისტოს, ამერიკის მხედრიონის ბარბაროსული დანაშაულის — ჰიროსიმის ატომური დაბომბვის — 40 წლისთავზე ქალაქ შედის საბჭოთა. მორატორიუმი ბირთვულ აფეთქებებზე. ჩვენ ეს გადაწყვეტილება მივვაჩნია სსრ კავშირის პრაქტიკულ; დამაჯერებელ წვლილად ბირთვული საფრთხისაგან მსოფლიოს ხსნის საქმეში. ახლა ჯერ სხვა ბირთვული სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებზეა. ვამბობენ არა სტატეთი, არამედ საქმით უნდა გასცეს პოზიტიური პასუხი საბჭოთა კავშირის ინიციატივას.

მინდა, თქვა დასასრულ ს. იტომ, მადლობა ვუძღვნა საბჭოთა ხელმძღვანელობასა და სსრ კავშირის ხალხს მშვიდობის საქმისადმი მათი გულწრფელი და თანამიმდევრული ერთგულებისათვის.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲰᲝᲢᲨᲘ ᲓᲒᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. უგანდაში, სადაც 27 იულის სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მდგომარეობა თანდათან კალაპოტში დგება. როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, სამხედრო საბჭომ გამოაცხადა, რომ მუშაობა განახლა ენტებეს საერთაშორისო აეროპორტმა. გაიხსნა ქვეყნის სახმელეთო საზღვრები.

რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პოლ მუუანგა განგარეულს კონსულტაციებს ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან ფართო წარმომადგენლობითს საფუძველზე გარდამავალი მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ. იგი უხელმძღვანელებს ქვეყანას პარლამენტის არჩევნებამდე, რომელიც წლის მანძილზე უნდა მოეწყოს. გარდამავალი მთავრობის ჩამოყალიბების საკითხთა სპეციალური კომისია დემოკრატიული პარტიის ვიცე-პრეზიდენტის ენერიუ ადიმოლას მეთაურობით განხილავს სხვადასხვა პარტიის წინადადებებს ახალი კაბინეტის შემადგენლობაზე კანდიდატურების შესახებ.

კამპალის რადიოთი გამოსულსას სახელმწიფოს მეთაურმა, გენერალმა ტატო ოკელომ გაფრთხილა უგანდის პრესა, რომ ნუ აპყვება და ნუ გაავრცელებს ყოველგვარ ჭორებსა და ხმებს მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით. „ასეთი მონაჩმახი, — განაცხადა მან, — ენებს, სამხედრო სამეფოს ძალისხმევას, რომლის მიზანია დამყარდეს მშვიდობა და შეწყდეს სისხლისღვრა უგანდაში. ამ მონაჩმახს მტრულ აუტად მივიჩნევთ“.

კამპალის რადიომ გამოაცხადა, რომ უცხოელ დიპლომატთა ჯგუფთან შეხვედრისას პრემიერ-მინისტრმა ჰ. მუუანგამ თქვა, რომ შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც განიხილავს დამხობილი რეჟიმის დროს დაპატიმრებული ათასობით პოლიტიკური ტესტაღის განთავისუფლების საკმეებს.

ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐᲞᲝᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ

ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐᲜᲘ

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲐᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „კონსერვატორთა მთავრობის პოლიტიკა მკაცრად გაკრიტიკა დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულ-ეროვნული პარტიის ლიდერმა ნ. კინოკმა.

გაზეთ „სანდი მირორში“ გამოქვეყნებულ სტატიაში იგი წერს, რომ კონსერვატორები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ ექვსი წლის წინათ, ბრიტანელ ხალხს ჰპირდებოდნენ გადასახადებისა და უმუშევრობის შემცირებას. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში გადასახადები ბრიტანთად გაიზარდა, და უმუშევართა არმია თითქმის 2 მილიონი კაცით გადიდდა. დაქვეითდა მრეწველობის მოცულობა. ეს უწინარეს ყოვლისა ფუნტის ფასის ეროვნული ეკონომიკური ფორმატის ფოტოინფორმაციაა.

ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲛᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ. ᲥᲕᲔᲠᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲘ: ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘᲡ.

Მ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ).

ᲐᲤᲨ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲝᲠᲭᲝᲤᲣᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლობა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტმა დაიწყო მოსმენა შვიდობიანი მიზნით ბირთვული ენერგიის გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ ამერიკა-ჩინეთის შეთანხმების საკითხზე, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ დაიდო, როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლი სიანნიანი ვიზიტად იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. წარმომადგენლთა პალატის ენერგეტიკის საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ე. მარკიმ, ისევე როგორც მთელმა რიგმა სხვა კონგრესმენებმა, მკაცრად გააკრიტიკა შეთანხმება და თქვა, რომ იგი აღსავსეა ორაზროვანი წინადადებებით, არ ეკვემდებარება კონტროლს და არ შეესაბამება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ამოცანას. ე. მარკიმ აღნიშნა, რომ შეთანხმება არ შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების კანონებით გათვალისწინებულ გარანტიებს ჩინეთისათვის გადასაცემი ამერიკული ბირთვული მასალა-მოწყობილობის ჯერიანი გამოყენების თაობაზე. აგრეთვე, შეთანხმებაში არ არის ის გარანტია, რომ ამერიკელი წარმომაჩინა სათბობის გამდიდრება, მისგან პლუტონიუმის მიღება და სხვა ცვლილებანი არ განხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების წინასწარი თანხმობის მიუღებლად.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● **ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ.** ათასობით კაცი გამოვიდა ჩილეს ქალაქების ქუჩებში, რათა პროტესტი განეცხადებინათ სამხედრო-დაშინებული რეჟიმის თარეშის წინააღმდეგ. მიტინგებისა და დემონსტრაციების მონაწილეებმა მოითხოვეს კარაბინერების კორპუსის ოფიცრების გასამართლება, რომლებსაც ბრალად ედებათ, რომ მიმდინარე წლის მარტში მოკლეს ოპოზიციის სამი თვალსაჩინო მოღვაწე დიქტატორის მიერ აკრძალული ჩილეს კომპარტიის წევრები.

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ჯეფრი პალმერმა გაიალმაჩრა ქვეყნის საშინაო საქმეებში ამერიკის ადმინისტრაციის ჩარევის წინააღმდეგ. პრესკონფერენციაზე მან დაგმო ვაშინგტონის ცდები, ხელი შეუშალოს იმას, რომ ახალი ზელანდიის პარლამენტმა მიიღოს კანონი, რომელიც კრძალავს ქვეყნის ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში ატომურძრავიანი ან ბირთვული იარაღით აღჭურვილი ამერიკელი და სხვა უცხოური ხომალდების შესვლას.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲓᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის პოლიციამ დაიპატიმრა ხუთი ტერორისტი, რომლებმაც მრავალი დანაშაული ჩაიდინეს პენჯაბის, ჭამუსა და ქაშმირის შტატებში. როგორც ინდოეთის პრესის საგაზეთო იუწყება, დაპატიმრებისას მათ აღმოაჩინდათ უცხოური წარმოების ავტომატური იარაღი.

ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი პრესა წერს, რომ მაშინ, როცა ყველა პატრიოტულად განწყობილი ინდოელი მისალმება ინდოეთის ცენტრალურ მთავრობასა და სიქხთა პარტიის აკალი ფილის ხელშეკრულების მიერ მიღწეულ შეთანხმებას პენჯაბში მდგომარეობის მოწესრიგების თაობაზე, საზღვარგარეთიდან ზურგგამგრეებული ერთი მუჭა ექსტრემისტები ყოველნაირად ცდილობენ დაბრკოლონ ამ ჩრდილო-დასავლეთის შტატში ვითარების მოწესრიგება.

ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲝᲑᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ისრაელი დამყრობნი თვითნებობენ ლიბანის სამხრეთ რაიონებში. ისრაელის არტილერიამ არაერთგზის დაუშინა ცეცხლი სოფელ ჯბაას. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი, მიყენებულია დიდი მატერიალური ზარალი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ

ᲕᲚᲘᲗᲘᲠᲔᲚᲝᲒᲘᲗ იზრდება ჩვენს რესპუბლიკაში უცხოელ ტურისტთა რიცხვი. მარტო შარშან საქართველოში იმოგზაურა 204 ათასმა უცხოელმა სტუმარმა — 30 ათასით მეტმა, ვიდრე წინა წელს. მათი მიღებისა და მომსახურების დონის შედეგი ამაღლება უზრუნველყოფილია კადრების თვისებრივი შემადგენლობის, გეგმაზომიერი გაუმჯობესების, ტურისტული სერვისის ორგანიზაციის სრულყოფის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მოდერნიზაციის ბრძოლ. სხვათა შორის, მომავალი წლიდან სოხუმში, გაგრასა და ბაკურიანში განაშენდება სასტუმროთა ახალი კომპლექსების მშენებლობა ხაზდაგარეთის სამშენებლო ფირმების მონაწილეობით, მნიშვნელოვნად ფართოვდება მასშტაბი და უმჯობესდება უცხოელ ტურისტებთან საინფორმაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შინაარსი. იგი სულ უფრო აქტიურდება და კონტრპროპაგანდისტული ფორმა ეძლევა.

ეს ითქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს მუ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲪᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲪᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲦᲘ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲔᲡ ᲮᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲜᲨᲔᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲗᲘᲡ